



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №81/19-2  
ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 06 მაისს №81 საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს და მოითხოვა -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 10 ივნისს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2012 წელს -- -- (საარბიტრაჟო მოსარჩელე) განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის, -- -- მიმართ და მოითხოვა შპს -- -- არბიტრაჟის -- -- 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 15 მარტის განჩინებით (მოსამართლეები -- -- (თავმჯდომარე, მომხსენებელი), -- --, -- --) -- -- განცხადება შპს -- -- არბიტრაჟის -- -- 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივნისის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია), მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- -- №-- გადაწყვეტილებით, -- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, ის არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან,

არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვიტა:**

-- -- 2019 წლის 06 მაისს №81 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**